



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს № 05\17 2017 წლის 29 დეკემბერი

განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა
(2018-2024)

სარჩევი

I. სულხან-საბა ორბელიანის განვითარების გრძელვადისი სტრატეგიული გეგმის საფუძვლები – მისია, ღირებულებები, პრიორიტეტები და ძირითადი მიზნები.....	3
მისია	
ღირებულებები.....	3
პრიორიტეტები.....	3
ძირითადი მიზნები.....	3
II. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის ეტაპები და პროგრამები.....	4
საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა	4
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროგრამა	6
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების პროგრამა	8
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა	9
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის, სტუდენტთა ხელშეწყობის განვითარების პროგრამა	11
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
საინფორმაციო საქმიანობის განვითარების პროგრამა	14
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	15
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა	16
(მიზანი, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა)	
III. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი მოსალოდნელი შედეგები	18
IV. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მენეჯმენტი	18
V. დასკვნითი დებულებები	18

I. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის საფუძვლები - მისია, ღირებულებები, პრიორიტეტები და ძირითადი მიზნები

მისია

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტის) მისიას წარმოადგენს მისი სახის შესაბამისად:

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით სტუდენტთა და საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის გავრცელება.

ცოდნის გავრცელება განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნით.

სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია შექმნას ოპტიმალური პირობები თანამედროვე თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გათვლილი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის.

ღირებულებები

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი სტრატეგიულ განვითარებას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებზე:

- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- ტოლერანტობა;
- თავისუფლება და პასუხისმგებლობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება.

პრიორიტეტები

დისკრიმინაციისაგან თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში შიდა და საგარეო განათლების და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებისა და პრიორიტეტების შესატყვისი აკადემიური უმაღლესი განათლების (I და II საფეხური) მიღების, თანასწორი ხელმისაწვდომობისა და ღია ხასიათის უზრუნველყოფა, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების, ტენდენციებისა და ინოვაციების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და პიროვნების ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება და უწყვეტი განათლების, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების მხარდაჭერა.

ძირითადი მიზნები

- აქტუალური აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შენარჩუნება-განხორციელება;
- სტუდენტის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- სტუდენტის კულტურულ-შემოქმედებითი განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალისათვის შრომის ღირსეული პირობების შექმნა და პროფესიული ზრდისათვის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით გაზრდა;
- თანამედროვე დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;
- სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურის ფონდის გაზრდა და ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება;
- მენეჯმენტის და სწავლების ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდების დანერგვით სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება.

II. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის ეტაპები და პროგრამები

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (შემდგომში - განვითარების სტრატეგიული გეგმა) შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უმაღლესი განათლების მიზნების, სასწავლო უნი-

ვერსიტეტის მისიის, ღირებულებების, პრიორიტეტების და ძირითადი მიზნების შესაბამისად და ასახავს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტაბილური განვითარება მიზანმიმართული, შეუქცევადი და რაციონალურად დაგეგმილი პროცესების შედეგად;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციურ და ინფორმაციულ კომპლექსად ჩამოყალიბება;
- სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება ხარისხობრივი ცვლილებების და ინოვაციების დანერგვის შედეგად;
- სასწავლო უნივერსიტეტში თანამედროვე, მეცნიერებასა და პრაქტიკაში არსებული ტენდენციების და ინოვაციების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების უზრუნველყოფა.

განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების ეტაპები:

- I ეტაპი (2018-2020 წწ.) - ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ინოვაციური სისტემის შექმნა, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სამეცნიერო სფეროების სრულყოფა და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
- II ეტაპი (2020-2024 წწ.) – ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის თანამედროვე წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების დასრულება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მისიის წარმატებულ რეალიზებას და სასწავლო უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაერთიანებულია სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების პროგრამები:

- საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროგრამა;
- განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა;
- სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის, სტუდენტთა ხელშეწყობის განვითარების პროგრამა;
- საინფორმაციო საქმიანობის განვითარების პროგრამა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა;
- PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა.

საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა

მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სისტემის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს მისი თვისობრივი მაჩვენებლების ზრდას სასწავლო პროცესის ორგანიზებაში უახლესი მიღწევების ინტეგრირებით, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

ამოცანები

- მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით განათლების შინაარსის განახლება და სრულყოფა მისი ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილის გაძლიერების, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციის საფუძველზე;
- საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურის და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ოპტიმიზაცია არსებული სტანდარტების და სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულთა დამსაქმებელთან კავშირების გაძლიერება მათი მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების განვითარება, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტურობის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის სინფორმაციო უზრუნველყოფის ეფექტური თანამედროვე სისტემის შექმნა, რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის მხარდაჭერას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის (მათ შორის, ელ. მატარებლებზე) არსებობით;
- სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, პოზიციების გაძლიერება საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და პროცესული გადამზადების ხელშეწყობა, რაც მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის პოტენციალის ეფექტური გამოყენების გარზრდაზე;

- სტუდენტთა ცოდნის და სწავლების ტექნოლოგიების კონტოლის სისტემის სრულყოფა, ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების დანერგვისა და გამოყენების ხელშეწყობა.

გასატარებელი ღონისძიებები

- საგანმანათლებლო საქმიანობის მენეჯმენტის ეფექტური სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა:
 - საერთაშორისო და საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება და საგანმანათლებლო საქმიანობის მონიტორინგი;
 - თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების და სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზება და ოპტიმიზაცია;
 - სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და გამოყენება.
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა:
 - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-სრულყოფა, საბიბლიოთეკო ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსება, სხვადასხვა ბიბლიოთეკების ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საინფორმაციო რესურსების განვითარება, სასწავლო პროცესში მათი გამოყენების უფრო ინტენსიური გამოყენება;
 - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების გაზიარების მიზნით ტრენინგების, კონფერენციების, სემინარების და სხვ. ჩატარება და/ან მონაწილეობა;
 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული კომპეტენციების განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა და მონიტორინგი.
- პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება:
 - საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით მეცნიერების, სამეცნიერო კვლევების და პრაქტიკის მიღწევების, დარგის ინოვაციების, ტექნოლოგიების და ტექნიკის განვითარების პერსპექტივების, საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების და პერსპექტიული მიმართულებების, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება, საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზა ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ;
 - საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროგრამების კომპონენტების შინაარსის დახვეწა, კონკრეტული კომპონენტის გაუქმება ან/და ახალი კომპონენტების შემუშავება და დამატება, რომლებიც ორიენტირებული იქნება კურსდამთავრებულების კომპეტენციების სრულყოფაზე კურსდამთავრებულთა მომავალი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კომპეტენციების კონტროლის სისტემის სრულყოფას და მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ოპტიმიზაციას;
 - ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მეცნიერების, დარგის სპეციალისტების, პრაქტიკული გამოცდილების მქონე კომპეტენტური პირების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობის გაზრდა და მათი მოსაზრებების შესწავლა;
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პოტენციური დამსაქმებლების აქტიური ჩართვა კურსდამთავრებულთა კომპეტენციების მოდელის ფორმირების, სტუდენტების და კურსდამთავრებულთა განათლების ხარისხის რეგულარული შეფასების და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში;
 - სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის რეგულარული შეფასება, სტუდენტების განათლების ხარისხის და მომზადების დონის მონიტორინგის სისტემის განვითარება.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- თანამედროვე, აქტუალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა საქართველოს და საერთაშორისო შრომის და განათლების ბაზარზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-სრულყოფა, მათ შორის – საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და საინფორმაციო რესურსების გამოყენების აქტუალიზაცია, სასწავლო, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო, საცნობარო ფონდების, ვიდეო- და აუდიომასალების შევსება-განახლება;

- საგანმანათლებლო სფეროში სასწავლო უნივერსიტეტის პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის და განათლების ხარისხის სრულყოფის პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დარგის სპეციალისტების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა;
- სასწავლო უნივერსიტეტის რესურსების რაციონალური გამოყენების კონტროლი;
- განათლების ხარისხის და სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ეფექტური სისტემის შექმნა და ამუშავება.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საერთო რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა კონკურსი (მსურვეთა და ვაკანტური ადგილების რაოდენობის თანაფარდობა);
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა უსდ-დან მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა უსდ-ში მობილობით გადასული სტუდენტების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და კურსდამთავრებულების თანაფარდობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსების განახლების პერიოდულობა და მოცულობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა %-ში (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების საერთო რაოდენობასთან თანაფარდობა);
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა და მისი შემადგენლობა;
- საზღვარგარეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტაჟირების, საერთაშორისო ტრენინგებში და კონფერენციებში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა და მათი წილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობაში.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროგრამა

მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ეფექტური საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია;
- სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა მოზიდვა და სტუდენტების საუკეთესო კონტინენტის ფორმირება;
- სასწავლო უნივერსიტეტში სტაბილური საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება;
- საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ამ პროცესის გაფართოება;
- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების/პროექტების ამოქმედება მათი კვალიფიკაციის ამაღლების და საგანმანათლებლო პროცესში მოწინავე გამოცდილების დანერგვის მიზნით;
- უცხოელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში სასწავლო უნივერსიტეტის სახელით პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით.

გასატარებელი ღონისძიებები

- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია:
 - საზოგადოებასთან კავშირების გაფართოება სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით;
 - საქართველოში და საზღვარგარეთ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობების და კავშირების გაძლიერება, სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობა, სარეკლამო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების მოწვევა;

- უცხოელ პარტნიორებთან და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სწავლებისა და სტაჟირების ხელშეკრულებების გაფორმება და განხორციელება;
- უცხოეთის ქვეყნებში საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი;
- ფაკულტეტების საქმიანობის მონიტორინგი უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით;
- საერთაშორისო გრანტების მომზადებაში დახმარება და საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში ფაკულტეტების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ფაკულტეტების მონაწილეობა საგრანტო და სხვა საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც სტუდენტების გაცვლით პროგრამებთან არის დაკავშირებული;
- აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში მსოფლიო გამოცდილების და ინოვაციების ხელმისაწვდომობის საინფორმაციო მხარდაჭერა;
- თანამედროვე ცოდნის და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით უცხოეთის მეცნიერების, მკვლევარების და სპეციალისტების მოწვევა და მათი ჩართვა სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებში სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა;
- ერთობლივი პროექტების, გაცვლითი პროგრამების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ. დაგეგმვა და განხორციელება;
- სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უცხო ენების გაძლიერებული სწავლების ორგანიზება ენის მატარებლების მონაწილეობით.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების განხორციელება და წარჩინებული სტუდენტების სასწავლებლად გაგზავნა;
- გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით შრომის და განათლების ბაზარზე სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობს უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბება და საგანმანათლებლო პროცესის წარმარმართვა მსოფლიო ტენდენციებისა და ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება უცხოეთის მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული საზღვარგარეთ სტაჟირებაგავლილი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტების/პროგრამების მომზადებასა და რეალიზაციაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის შესაბამისობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია და ხორციელდება;
- უცხოურ ენაზე განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- უცხოურ ენაზე განხორციელებული სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო პროგრამების/პროექტების რაოდენობა, რომლებშიც სასწავლო უნივერსიტეტი მონაწილეობს;
- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით ქართულ/უცხოურ ენებზე გამოცემული სახელმძღვანელოების და პუბლიკაციების რაოდენობა;
- საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა, რომლებშიც სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობდნენ მისი წარმომადგენლები;
- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ/სასწავლო უნივერსიტეტის მონაწილეობით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტების/პროგრამების მომზადებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად/სტაჟირებაზე გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობა.

განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა

მიზანი

სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ისეთი სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების მუდმივად მიმდინარე პროცესების, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის და სტრატეგიის ფორმირება საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სტანდარტების, სწავლის/სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მენეჯმენტის და შიდა შეფასების ეფექტურობის გაზრდა;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უნიფიცირებული და გამჭვირვალე კონტროლის სისტემის შემუშავება;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება განათლების სფეროში მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად;
- ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა განათლების ხარისხის მიმართ სტუდენტების მოთხოვნების, მოლოდინების და დამოკიდებულების შესწავლისა და ანალიზის შედეგად;
- საქართველოში და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა.

გასატარებელი ღონისძიებები

- სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
- სრულყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-შემოწმება, ამ პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დარგის სპეციალისტების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართვა;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობის ანალიზი, მისი შედარება საქართველოს და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის მონიტორინგი;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, დანერგვა, რეალიზება და მათი ეფექტურობის შესწავლა;
- სტუდენტთა განათლების ხარისხზე სასწავლო პროცესის ორგანიზების ეფექტურობის გავლენის შეფასება;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დარგის სპეციალისტების და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, როგორც ანკეტირების, ისე ინტერვიუს გზით;
- ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობა „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე განვითარება| რეაგირება“ (PDCA – plan-do-check-act) პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვით ხდება:
- შესასრულებელი სამუშაოს დეტალური დაგეგმვა;
- იმის განსაზღვრავა, თუ რომელი ასპექტები, რა თანმიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული;
- შეფასების კრიტერიუმების შემუშავება სასწავლო პროცესისა ან/და შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- შეფასების პროცედურების შემუშავება და მონიტორინგის ჩატარება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებისა და განრიგის მიხედვით;
- სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა;

- მონიტორინგის და გამოკითხვების შედეგების ანალიზი, ნაკლოვანებების მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა, ჩატარება და მათ შედეგების შესწავლა;
- საგანმანათლებლო სფეროში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება:
 - საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები (მათი შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტებთან);
 - სასწავლო პროცესი (სასწავლო პროცესის ორგანიზების რაციონალურობა; სასწავლო პროცესის წარმართვა სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამისად; გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდებით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა; სტუდენტების მიღწევების შეფასება გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით; მიღწევების შეფასების შესახებ სტუდენტების ინფორმირების და შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობის მექანიზმების არსებობა და სხვ.);
 - საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი (მათ შორის, სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის პედაგოგიური თვისებები: არის თუ არა ლექტორი სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი და ობიექტური, სწავლის შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით ზრუნავს თუ არა სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებაზე, იყენებს თუ არა საკონტაქტო დროს სრულად და რაციონალურად, არის თუ არა ორიენტირებული სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობაზე, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარება-სრულყოფაზე, არის თუ არა მის მიერ გამოყენებული სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალე და ობიექტური და ა.შ.);
 - მატერიალური რესურსები (რა რესურსები და ინფრასტრუქტურა არის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და რამდენადაა ის ხელმისაწვდომი, ხდება თუ არა ინფრასტრუქტურის განახლება და მატერიალური რესურსების შევსება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, ხდება თუ არა საბიბლიოთეკო ფონდის დანახლება და შევსება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე სახელმძღვანელოებით, არის თუ არა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეუზღუდავად ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის, არის თუ გამოყენებული სასწავლო პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები და კომპიუტერული ტექნიკა, რამდენად შესაბამეა პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასა და სხვ.)

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სასწავლო პროცესის წარმართვა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობა და კვლევა, სწავლება და ინოვაციებს შორის კავშირის გაძლიერება;
- სტუდენტებში სწავლის მიმართ სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა პედაგოგიური და ორგანიზაციული ასპექტების შერწყმის შედეგად;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადება, რაც უზრუნველყოფს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და წარმატებული კარიერული წინსვლის შესაძლებლობას;
- „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (LifeLongLearning) კონცეფციის შესაბამისად პიროვნების ინტერესების შესატყვისი განათლების მიღების, მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სრულყოფის, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;
- უწყვეტი განათლების (Continuing Education) კონცეფციის თანახმად კურსდამთავრებულებში საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის, ინოვაციების გაზიარების დასწავლის შემდგომი გაგრძელების მოტივაციის ჩამოყალიბება;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა მიმზიდველი და რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით;
- ბოლონის პროცესის მიერ შემოთავაზებული საშუალებების და მექანიზმების სრულფასოვანი გამოყენების შედეგად სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;

- უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების და კურსდამთავრებულების თანაფარდობა (მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით);
- უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების/განათლების ხარისხის აღიარება;
- საქართველოში და საზღვარგარეთ სპეციალობით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა და მათი წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში;
- განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა და მათი წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობაში.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის, სტუდენტთა ხელშეწყობის განვითარების პროგრამა მიზანი

სტუდენტების სამოქალაქო და საზოგადოებრივი აქტივობის მხარდაჭერა, ტოლერანტობის და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება და დამკვიდრება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პირობების შექმნა, კორპორაციული კულტურის და სასწავლო უნივერსიტეტის ტრადიციების დაცვის და პატივისცემის მოტივაციის ჩამოყალიბება.

ამოცანები

- პარტნიორულ ურთიერთობებზე, ურთიერთპატივისცემის, ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, დემოკრატიის პრინციპებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დამყარებული ურთიერთობების ფორმირება;
- კორპორატიული კულტურის, როგორც ღირებულებათა სისტემის, ჩამოყალიბება-განვითარება და სასწავლო უნივერსიტეტის ტრადიციების მხარდაჭერა;
- სტუდენტთა ინტელექტუალური განვითარების, სამოქალაქო პოზიციის, სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობების შექმნა;
- კულტურულ, სპორტულ და სხვ. არასასწავლო საქმიანობაში სტუდენტების აქტიური ჩართვა;
- სტუდენტების და პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერა;
- ინტელექტუალური შრომის სოციალური სტატუსის ამაღლება;
- სოციალური დაცულობის, სამართლიანობის, თანასწორობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დამკვიდრება;
- სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავება.

გასატარებელი ღონისძიებები

- პირველი კურსის სტუდენტების ადაპტაცია:
 - პირველი კურსის სტუდენტებისთვის ადაპტაციის პროგრამის შემუშავება და განხორციელება;
 - პირველი კურსის სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების ახსნა-განმარტება;
 - პირველი კურსის სასწავლო ჯგუფებში ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილურობაზე, სტუდენტების ურთიერთგაცნობაზე და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, სასწავლო პროცესის სპეციფიკასთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;
 - სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით და ა.შ. საქმიანობაში პირველი კურსის სტუდენტების ჩართვა და მათი მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება;
 - ბიბლიოთეკის მუშაობა სასწავლო პროცესთან პირველი კურსის სტუდენტების ადაპტაციის მიმართულებით;
 - სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალისთვის საორგანიზაციო-ფსიქოლოგიური სემინარების, ტრენინგების და სხვ. ჩატარება.
- სტუდენტების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო, სპორტული და შემოქმედებითი ინიციატივების, სამოქალაქო და საზოგადოებრივი აქტივობის ხელშეწყობა:
 - კულტურის, ზნეობის, ტოლერანტობის, საკაცობრიო ღირებულებების საკითხებზე დისკუსიების და თემატური შეხვედრების მოწყობა;
 - სტუდენტების და პერსონალის მონაწილეობით კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, კონკურსების, ვიქტორინების, ოლიმპიადების, გამოფენების, ფესტივალების, სადღესასწაულო ღონისძიებების და სხვ. ჩატარება;

- სტუდენტებისთვის შეხვედრების და შემეცნებითი ლექციების ჩატარება სამოქალაქო, პატრიოტულ, სამართლებრივ, სოციალურ და სხვ. თემატიკაზე;
- სტუდენტებისთვის საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან (კულტურის, ხელოვნების, სპორტის მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მკვევარებთან, სხვადასხვა სფეროებში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და სხვ.) შეხვედრების მოწყობა;
- საქართველოს ისტორიული ადგილების მონახულება, ექსკურსიების მოწყობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის როლის გაზრდა სტუდენტების მიერ საქართველოს ისტორიული, კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობის გაცნობიერების კუთხით;
- სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, შემოქმედებით და სხვ. საქმიანობაში სტუდენტების ჩართვა (მაგ., მომდერალთა გუნდის ჩამოყალიბება, მოცეკვავეთა გუნდის ჩამოყალიბება) და მათი მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება;
- სტუდენტების სპორტული აქტივობებისთვის ხელშეწყობა,
- სასწავლო უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტების გამოვლენა, ცოდნის და უნარ-ჩვევების სრულყოფის სწრაფვის და სწავლის გაგრძელების მოტივაციის მხარდაჭერა;
- სასწავლო პროცესის და საადმინისტრაციო მუშაობის ორგანიზებაში არსებული პრობლემების კვლევა და განხილვა დისკუსიების, შეხვედრების და კონფერენციების ფორმატში;
- სხვადასხვა ამოცანების (სპორტული, სოციალური და ა.შ.) გადაწყვეტაში სტუდენტების ჩართვა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ცხოვრებაში სტუდენტების მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა;
- სოციალური მნიშვნელობის აქციების და პროექტების დაგეგმვაში და განხორციელებაში სტუდენტების მონაწილეობა – გამწვანების და დასუფთავების აქციებში მონაწილეობა; ბავშვთა, უნარშემოღებულთა ან/და მზრუნველობამოკლებულთა სახლებში ღონისძიებების მოწყობა; ბავშვთა, უნარშემოღებულთა ან/და მზრუნველობამოკლებულთა სახლების შერჩევა პატრონაჟისთვის და სხვ.;
- სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება:
 - სტუდენტური სტიპენდიის ოდენობის გაზრდა;
 - სტუდენტური დაზღვევა;
 - თანამშრომელთა დაზღვევა;
 - სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემის შემუშავება, მათთვის სხვადასხვა სოციალური შეღავათების დადგენა;
 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისთვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი მხარდაჭერა;
 - უცხო ენების ცენტრის შექმნა;
 - კომპიუტერული ცენტრის შექმნა;
 - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის ჩამოყალიბება;
 - სტუდენტების დასაქმებისა და კონსულტაციის ცენტრის შექმნა;
 - სტუდენტთა კარიერული ზრდისათვის შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან ურთიერთობის გაფართოება;
 - კავშირების შენარჩუნება კურსდამთავრებულებთან მათი დასაქმებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით.
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება:
 - სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განახლება;
 - რეკრეაციული ზონების ამოქმედება, სტუდენტებისა და პერსონალისთვის დასვენების კომფორტული პირობების შექმნა და ხელმისაწვდომობა;
 - სტუდენტების სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობისათვის ფართის გამოყოფა და კეთილმოწყობა.
- ბიბლიოთეკის როლის გაზრდა:
 - ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება საბიბლიოთეკო საქმეში;
 - არსებული საბიბლიოთეკო აღჭურვილობის და პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივი განახლება და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში გაერთიანება მსოფლიო საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით;
 - ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდის შევსება და ელექტრონული სამკითხველო დარბაზის შექმნა;
 - მომხმარებლების მომსახურების ეფექტურობის გაზრდა თანამედროვე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების გამოყენების, ინფორმაციის მიწოდების პროცესის გაუმჯობესების, ელექტრონული ბაზის შევსების, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სერვისით სარგებლობის უზრუნველყოფის გზით.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის კულტურის ფორმირება:
 - ცხოვრების ჯანსაღი წესის პროგრამის რეალიზაცია;

- სტუდენტების ინტერესების შესაბამისი სპორტული სექციების ამუშავება;
- სპორტული ჩეჯიზრებების და ღონისძიებების ჩატარება სტუდენტების მონაწილეობით;
- შეხვედრები ახალგაზრდობის აქტუალური პრობლემების (მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკოდამოკიდებულება და ა.შ.) განხილვის მიზნით;
- თემატური საუბრების ჩატარება, შეხვედრები სპეციალისტებთან (მედიკოსებთან, ფსიქოლოგებთან და სხვ.), ტრენინგების მოწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით;
- კორპორატიული პოლიტიკის აქტუალიზაცია:
 - კორპორატიული პოლიტიკის აქტუალიზაცია;
 - კორპორატიული პოლიტიკის გეგმის შემუშავება და განხორციელება;
 - კორპორატიული პოლიტიკის სისტემის სრულყოფის მექანიზმებს შემუშავება;
 - საიუბილეო კონფერენციების, კონცერტების, გამოფენებისა და საღამოების მოწყობა სტუდენტების და თანამშრომლების მონაწილეობით;
 - სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის და თანამშრომლის დადებითი იმიჯის ფორმირება, კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბება და დახვეწა (მათ შორის, ვიზუალური მხარე, სამუშაოს შესრულების ხარისხი, ქცევა და სხვ.).

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- პირველი კურსის სტუდენტებისთვის ახალ კოლექტივთან და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის გამარტივება;
- სტუდენტებში მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება;
- სტუდენტების ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პრიორიტეტების ფორმირება და დანერგვა;
- სტუდენტების კულტურული დონის ამაღლება, მათ მიერ ქვეყნის ისტორიული, კულტურული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარება, ზნეობრივი და ესთეტიკური გამოცდილების დაგროვება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა; ელექტრონული მასალების და სხვადასხვა სახელმძღვანელოების შენახვა საბიბლიოთეკო ფონდებში;
- სტუდენტებში პროფესიონალური კომპეტენციების, პირადი თვისებების (ლიდერობის, საორგანიზაციო და სხვ.) ფორმირება, რაც აუცილებელია მათი ეფექტური პროფესიული საქმიანობისათვის.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა;
- შემუშავებული და გამოცემული მეთოდური მასალების რაოდენობა;
- ყოველწლიურად ჩატარებული ღონისძიებების (ექსკურსიების, შეჯიბრებების და სხვ.) რაოდენობა;
- სოციალური მნიშვნელობის აქციებში და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში სტუდენტების მონაწილეობა (რაოდენობა);
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე და სტუდენტების ფსიქოლოგიური ლაბილობის პროფილაქტიკაზე მიმართული ღონისძიებების რაოდენობა.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საინფორმაციო საქმიანობის განვითარების პროგრამა

მიზანი

საგანმანათლებლო და მმართველობითი საქმიანობის ხარისხის გაზრდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინოვაციების გამოყენების შედეგად.

ამოცანები

- ერთიანი ინტეგრირებული კომპიუტერული, პროგრამული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემოს ჩამოყალიბება, ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და Internet/Intranet ქსელებთან წვდომის გაფართოება სტრუქტურულ ერთეულებს შორის მაღალი სიჩქარით მონაცემების გადაცემის, მმართველობითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაზრდის და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით;
- მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის სრულყოფა, კორპორატიული ქსელის განვითარება და სრულყოფა თანამედროვე კომპიუტერული კომუნიკაციების შესაძლებლობების აქტიური გამოყენების გზით;
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო გარემოს ტექნიკური და პროგრამულ-საინფორმაციო საშუალებების სისტემატური მოდერნიზაცია;
- ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა და გამოყენება;
- საინფორმაციო რესურსების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- საგანმანათლებლო საქმიანობის ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფის მონიტორინგი;
- საგანმანათლებლო პროცესში სწავლების ინოვაციური ფორმების გამოყენება (ტელეკონფერენციები, ლექციები ვიდეოკონფერენციის რეჟიმში, ორლაინ-დისკუსიები და სხვ.);
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო წიგნიერების ამაღლების სისტემის რეალიზება, სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ამუშავება;
- საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლება – ახალი დიზაინის ვებ-გვერდის შექმნა და რუბრიკების დამატება, ვებ-გვერდის საკომუნიკაციო რესურსის გაფართოება.

გასატარებელი ღონისძიებები

- სასწავლო უნივერსიტეტის მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის სრულყოფა:
 - სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემის მიზნით საქმის წარმოების სისტემისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია;
 - საქმის წარმოების ოპტიმიზაციის მიზნით დოკუმენტაციის უნიფიცირებული ფორმების შემუშავება და საინფორმაციო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
 - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა.
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების სრულყოფა:
 - სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის, სასწავლო პროცესის (ლექციები, გამოცდები და სხვ.) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ელექტრონული ცხრილების, გამოცდების, უწყისების და სხვ. დანერგვა და ახალი ფორმების შემუშავება;
 - თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების და კონკრეტული სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად;
 - ყველა აუდიტორიის აღჭურვა მულტიმედიის საშუალებების სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით და აღჭურვილობის პერიოდული განახლება;
 - კორპორატიული ქსელის მოდერნიზება და განვითარება პერსონალისა და სტუდენტებისთვის საინფორმაციო და ინტერნეტ-რესურსების შეუზღუდავად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
 - კომპიუტერული ტექნიკის განახლება და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა (ოპერაციული სისტემები, ანტივირუსული და სხვ.);
 - ინტერნეტ-რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფა.
- მართვის ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა:
 - ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა;
 - სტრუქტურული ერთეულების მიერ შემოსული და გასული ინფორმაციის ანალიზი და სისტემატიზაცია;
 - მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, მისი სტრუქტურის და შევსების რეგლამენტის შემუშავება და გამოყენება ინფორმაციის გამოტოვების ან დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;
 - სასწავლო უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ოპერატიული მართვის პროგრამების შექმნა/შემქმნა, დანერგვა და გამოყენება.
- საგანმანათლებლო გარემოს განვითარება:
 - საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, დანერგვა და გამოყენება;
 - საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების ადმინისტრირება და მათი მუშაობის რეგლამენტირება;
 - დისტანციური განათლების სისტემის შემოღება;
 - სასწავლო პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში პერსონალის გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემის შემოღება:
 - პერსონალის სისტემატური გადამზადების ორგანიზება თანამედროვე პროგრამული პროდუქტების და ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთიანი მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება;
- სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესების ოპერატიული მართვის გაუმჯობესება;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსების წვდომის გაუმჯობესება და მათი გამოყენების შეუზღუდავად ხელმისაწვდომობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- პროგრამული უზრუნველყოფის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების განახლების, შექმნისა და გამოყენების მონიტორინგის შედეგები;

- სასწავლო პროცესის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვის, თანამედროვე ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მონიტორინგის შედეგები;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის შეუზღუდავად ხელმისაწვდომობის მონიტორინგი;
- სტრუქტურული ერთეულების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მონიტორინგის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობაში იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის წილი, ვინც სასწავლო პროცესში იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- პერსონალის რაოდენობა, რომლებმაც აიმაღლეს კვალიფიკაცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა

მიზანი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა.

ამოცანები

- სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება, განვითარება და განახლება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობილი უსაფრთხო გარემოს შექმნა.

გასატარებელი ღონისძიებები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, ომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, საბიბლიოთეკო ფონდის) მუდმივი შევსება-განახლება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, აღმზრდელობითი, სოციალურ-კულტურული განვითარების და სხვ. აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საგანმანათლებლო და სოციალური ინფრასტრუქტურის შეკეთების, განახლების ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;
- შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;
- თანამედროვე აღჭურვილობის და მოწყობილობების შეძენა საგანმანათლებლო პროგრამების სფეციფიკის და მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის, დასვენების, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პირობების შექმნა;
- ყველა იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების პროგრამებში და მიმართულია სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო უნივერსიტეტში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის შექმნა;
- საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;
- სასწავლო უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევებისთვის აუცილებელი გარემოს და ინფრასტრუქტურის შექმნა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო და დამზარეულ ფართის აღჭურვა და კეთილმოწყობა;
- სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- სტუდენტებისთვის სწავლისა და დასვენებისათვის პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა და მოდერნიზების დაფინანსების ოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის და განახლების დაფინანსების ოდენობა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსების შეძენის და განახლების დაფინანსების ოდენობა;

- საბიბლიოთეკო ფონდის განახლების და შევსების დაფინანსების ოდენობა;
- კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის და განახლების დაფინანსების ოდენობა;
- სოციალური ინფრასტრუქტურის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა და მოდერნიზების დაფინანსების ოდენობა.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანი რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა

მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის შექმნა და გაძლიერება, მის შესახებ სრული, მრავალფეროვანი და სანდო ინფორმაციის შექმნა და გავრცელება, მკაფიო საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებით და რეალიზებით სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ ინტერესის ფორმირება აბიტურიენტებისა და საზოგადოების მხრიდან.

ამოცანები

- PR –კამპანიების და სარეკლამო აქციების ორგანიზება და ჩატარება;
- პროგრამებში, პროექტებში და ღონისძიებებში მონაწილეობა, რომლებიც ემსახურება ან ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტის და მისი საგანმანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაციას;
- სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ღონისძიებების საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვ. საქმიანობის ამსახველი კრებულების გამოშვება, პუბლიკაციების, სტატიების და სხვ. გამოქვეყნება და გავრცელება;
- პრესკონფერენციების, მიღებების, ოფიციალური ღონისძიებების და სხვ. ჩატარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ბეჭვით გამოცემებისა (საინფორმაციო, სარეკლამო და სხვ. მასალის მომზადება და გავრცელება) და ინტერნეტ-ქსელების მეშვეობით;
- სასწავლო უნივერსიტეტის და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების და სიუჟეტების ჩაწერა და ანალიზი;
- სასწავლო უნივერსიტეტის საიტის განახლება და მხარდაჭერა;
- სასწავლო უნივერსიტეტში სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების, შეხვედრების და სხვ. ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების, სკოლის მოსწავლეების, საზოგადოების წარმომადგენლების და სხვ. მოწვევა;
- პრეს-რელიზების მომზადება;
- სასწავლო უნივერსიტეტის სიმბოლიკით სარეკლამო ბეჭდვითი და სხვა პროდუქციის გამოშვება;

გასატარებელი ღონისძიებები

- სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, იმიჯის ფორმირება და სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია:
 - “წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების” იმიჯის შექმნა;
 - სასწავლო უნივერსიტეტის იმიჯის შემდგომი განვითარების მიზნით სტუდენტების და პერსონალის ანკეტირება/გამოკითხვა;
 - სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო პუბლიკაციების და სიუჟეტების რაოდენობის ზრდის ინიცირება;
 - სასწავლო უნივერსიტეტის იმიჯის შექმნაზე და პოპულარიზაციაზე მიმართული ღონისძიებების კონცეფციების შემუშავება, სხვადასხვა ტიპის სარეკლამო რგოლების მომზადება და გაშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;
 - სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე და იმიჯის შექმნაზე მიმართული ფართო საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ორიენტირებული სპეციალური ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, ღონისძიებების შედეგების ანალიზი და შეფასება.
- წარმატებული ბრენდის ფორმირება და ეფექტური მართვა:
 - ბრენდის ფორმირების პროგრამის შექმნა და რეალიზება;
 - წარმატებული ბრენდის ფორმირება და ეფექტური მართვა;

- საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლებისა და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა და გათვალისწინება სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც “წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების”, ბრენდის პროგრამის შემუშავებისას;
- მომხმარებლის, განათლების და შრომის ბაზრების მოთხოვნებში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება, ანალიზი და ბრენდის ფორმირების პროგრამაში ცვლილებების შეტანა;
- საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლების, დამსაქმებლების და დაინტერესებული პირების ინფორმირების მოქნილი სისტემის შექმნა;
- მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების ურთიერთკავშირის და უკუგების შესწავლა;
- სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული PR-კამპანიების და სარეკლამო აქციების ჩატარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის ოპერატიული განახლება, აქტუალური და პოტენციური სტუდენტებისთვის საინტერესო ინფორმაციის განთავსება;
- აბიტურიენტების სასწავლო უნივერსიტეტში სწავლით დაინტერესებაზე მიმართული ღონისძიებების (“პირველკურსელის დღე”, “ღია კარის დღე”, თემატური სემინარები, კონფერენციები და შეხვედრები) დაგეგმვა, ჩატარება და შედეგების ანალიზის საფუძველზე შემდეგი ღონისძიებების დაგეგმვა.

პროგრამის რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

- წარმატებული PR-სტრატეგიების შემუშავება;
- სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, იმიჯის შექმნა;
- საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოწინავე პოზიციების დაკავების შესაძლებლობა.

პროგრამის მიზნობრივი ინდიკატორები

- ჩატარებული PR-ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებულ PR-ღონისძიებების მომზადებაში და ჩატარებაში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობა;
- PR-ღონისძიებების მომზადებაში და ჩატარებაში მონაწილე PR-სპეციალისტების რაოდენობა;
- ჩატარებული PR-ღონისძიებების მენეჯმენტის და მიღწეული შედეგების ანალიზი.

პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

III. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი მოსალოდნელი შედეგები

- განათლებისა და შრომის ბაზრის პრიორიტეტების და მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება მეცნიერების და პრაქტიკის, ტექნიკის და ტექნოლოგიების მიღწევების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება;
- ყველა სტუდენტისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი კვლევითი, პრაქტიკული, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა;
- უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და მმართველობითი საქმიანობის ხარისხის გაზრდა;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და განვითარების კომპლექსური მიდგომების ჩამოყალიბება;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და შიდა შეფასების ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების და პროექტების განხორციელებაში ჩართულობა;

- “წარმატებული თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების” იმიჯი და საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

IV. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მენეჯმენტი

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობს განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებას, განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის სამსახურებს აძლევს რეკომენდაციებს და მითითებებს, ახორციელებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მიმდინარე კონტროლს და განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს, განსაზღვრავს ამ პროცესის მენეჯმენტის და მონიტორინგის ფორმებს და მეთოდებს, განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების და კონტროლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ქმნის სამუშაო და/ან მონიტორინგის ჯგუფ(ებ)ს, პასუხისმგებელია განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაზე, განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და საბოლოო შედეგებზე.

აკადემიური საბჭო რექტორის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების პერიოდულ (სულ მცირე ყოველწლიურ) შემაჯამებელ ანგარიშს.

V. დასკვნითი დებულებები

1. სულხან-საბა ორბელიანის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. დოკუმენტი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
2. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ყოველწლიურ საქმიანობას გეგმავენ წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად;
3. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ ამ დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დოკუმენტში დამატებების ან/და ცვლილებების დამტკიცება ხდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;
5. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამდგრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
6. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
7. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
8. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ.